09/07/2024

MES 0 24 0000834176

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს სხდომის თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სს - ფინური საერთაშორისო სკოლა:
აიეტი კუკავა - სკოლის დირექტორი და დამფუძნებელი;
სალომე ოსეფაშვილი - სკოლის იურისტი.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

სს - ფინური საერთაშორისო სკოლა:

ა) ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი. საბჭოს სხდომა 2024 წლის 25 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სს - ფინური საერთაშორისო სკოლის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სს - ფინური საერთაშორისო სკოლის მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N373025 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა, 2024 წლის 04 აპრილს. სკოლა მდებარეობდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, ინგლისურ ენაზე. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს სკოლაში აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 71-ს.
ექსპერტმა, ია ქურიძემ აღნიშნა, რომ სკოლა დაფუძნებული იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ფინეთის რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის 2019 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული, ზოგადი განათლების მიმართულებით თანამშრომლობის შესახებ, ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში.
ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის საფუძველი იყო, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 25 მარტის N350960 კორესპონდენციით გადმოგზავნილი დაწესებულების თანამშრომლების კოლექტიური განცხადება, სს ,,ფინურ საერთაშორისო სკოლაში'' თანამშრომელთა უფლებების შესაძლო დარღვევისა და მათი გაფიცვის შესახებ. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 2024 წლის 18 მარტს ფინური საერთაშორისო სკოლის თანამშრომლები გაიფიცნენ. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი 2023 წლის დეკემბრიდან ზემოაღნიშნულ დღემდე უხელფასოდ მუშაობდა. გარდა ამისა, გაფიცვის გადაწყვეტილება არ იყო სპონტანური და სკოლის ადმინისტრაციასთან მრავალჯერადი უშედეგო მოლაპარაკებებისა და შეხვედრების შემდეგ, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 2024 წლის 18 მარტიდან არ გამოცხადებულიყვნენ სამუშაო ადგილებზე.
ექსპერტმა, ასევე აღნიშნა, რომ 2024 წლის 27 მარტს, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სს - ფინური საერთაშორისო სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან შედგა შეხვედრა, სადაც დამატებით გამოვლინდა ისეთი გარემოებები, როგორიცაა კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის პრობლემა, ფინანსური და სკოლის მართვის პრობლემები, სასწავლო პროცესის შეწყვეტა და მოსწავლეთა უფლებების შესაძლო დარღვევის გარემოებები.
ექსპერტ ია ქურიძის თქმით, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იყო, სასწავლო პროცესის სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად განხორციელების, სასწავლო პროცესში წარმოქმნილ შემხვედრ საჭიროებებზე სკოლის რეაგირების საკითხი, ასევე, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსების არსებობის, პერსონალის კვალიფიკაციის დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობის, სკოლის პერსონალის მართვის პროცესების, პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის განხორციელების, სკოლის ფინანსური მდგრადობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნობრივი წარმართვისა და მოსწავლეთა უფლებებისისა და კანონიერი ინტერესების საკითხები.
ექსპერტმა, ია ქურიძემ განმარტა, რომ მე-2 სტანდარტი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი) შეფასდა როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო კომპონენტი 2.2 (კურიკულუმის განხორციელება) შეფასდა შეუსაბამოდ. რაც შეეხებოდა, 2.2.1.2; 2.2.2.4 ინდიკატორებს, არ იყო დაკმაყოფილებული. მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც "არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო, კომპონენტები 3.1 (პერსონალის მართვა) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) შეფასდა შეუსაბამოდ, 3.7 კომპონენტი (ფინანსური რესურსები) კი

შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, 3.1.2.1; 3.1.2.2; 3.1.2.4; 3.1.2.5; 3.6.3.2 ინდიკატორების მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული, ხოლო დაწესებულების მხრიდან შესაბამისობის გეგმისა და თანდართული მტკიცებულებების წარმოდგენის შემდგომ 3.1.2.3, 3.7.1.1 და 3.7.1.2 ინდიკატორები შეფასდა დამაკმაყოფილებლად, 3.6.3.1; 3.6.3.4; 3.6.3.5 ინდიკატორები კი, შეფასდა მეტწილად დაკმაყოფილებულად. მე-4 სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა როგორც "არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო კომპონენტი 4.1 (მოსწავლეთა უფლებების დაცვა) შეფასდა შეუსაბამოდ. ექსპერტის თქმით, ინდიკატორები 4.1.1.1; 4.1.1.2; 4.1.2.4 არ იყო დაკმაყოფილებული. ექსპერტ ია ქურიძის განმარტებით, იმ ინდიკატორებთან მიმართებით, რომლებიც შეფასდა არადამაკმაყოფილებლად, ექსპერტებმა არ გაიზიარეს სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, ვინაიდან დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო შესაბამისი პრევენციული ზომების მიღება საკადრო დეფიციტისა და სასწავლო პროცესის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის მოძიება, გარდა ამისა, სკოლაში დასაქმებული იყო ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი, რომლის კვალიფიკაციაც არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე, სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდებოდა დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად და ვერ უზრუნველყოფდა პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის გატარებას.

ექსპერტის თქმით, სკოლა ვერ უზრუნველყოფდა მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვას და ვერ ახორციელებდა შიდა რეგულაციებით დადგენილი მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის აღსრულებას; გარდა ამისა, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები არ იყო გამჭვირვალე. მისი თქმით, გამოვლენილი ხარვეზების დეტალური აღწერა და დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

სხდომის თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, რას გულისხმობდა ექსპერტი, როდესაც აღნიშნა, რომ მასწავლებლები აპირებდნენ გაფიცვას. ექსპერტმა, ია ქურიძემ განმარტა, რომ სს-ფინური საერთაშორისო სკოლის მასწავლებლები 2024 წლის 18 მარტიდან გაიფიცნენ, აღნიშნულთან დაკავშირებით კი წერილის სახით სკოლას აცნობეს 2024 წლის 15 მარტს. ასევე, მასწავლებლების თქმით, მათ მანამდეც ჰქონდათ კომუნიკაცია სკოლის წარმომადგენლებთან ფინანსური პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, თუმცა უშედეგოდ.

თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გამოსწორების თვალსაზრისით, კერძოდ, როგორი იყო სკოლის ფინანსური მდგრადობა და დაიხვეწა თუ არა კურიკულუმები, ასევე, გატარდა თუ არა რაიმე პროცედურა, მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა განმარტა, რომ სკოლაში შევიდა ახალი ინვესტორი და ფინანსური რისკები მინიმუმამდე იყო შემცირებული, გარდა ამისა, მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს ყველა მასწავლებელს ჩაერიცხა კუთვნილი ხელფასი და კომპენსაცია გადაცილებული დღეებისთვის. რაც შეეხებოდა კურიკულუმებს, სკოლის იურისტის თქმით, სს- ფინურ საერთაშორისო სკოლას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული ჰქონდა ფინური კურიკულუმი. აღნიშნული კი ითვალისწინებდა იმას, რომ დაწყებით კლასებში ერთ მასწავლებელს შეეძლო სხვა საგნების სწავლებაც, გარდა ქართული ენისა და ლიტერატურისა, ხოლო რომელიც სკოლას აყვანილი ჰყავდა კანონმდებლობის დაცვით. გარდა ამისა, სკოლის იურისტმა განმარტა, რომ მასწავლებელთა გაფიცვის პერიოდში შეწყდა სასწავლო პროცესი, რომლის შესახებაც მშობლებს ეცნობათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რადგან სკოლის ვებ-გვერდზე მოხდა კიბერთავდასხმა და სერვერი იყო გათიშული. მისი თქმით, გაფიცვიდან 1 კვირაში საგანმანათლებლო პროცესი გაგრძელდა ორ კლასში, ხოლო 2 კვირის შემდეგ, ოთხ კლასში.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა გააჟღერა ერთ-ერთი მასწავლებლის წერილი, რომელიც იტყობინებოდა, რომ ხელფასი არ ჩარიცხვიათ მათ, ვინც შეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა განმარტა, რომ კონკრეტულ მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულება შეწყდა დეკემბრის თვეში და ხელფასის ნაწილი ჩარიცხული იყო, ხოლო ნაწილის ჩარიცხვასთან დაკავშირებით მიეწოდათ გრაფიკი და აღნიშნულის შესაბამისად მოხდებოდა დავალიანების დაფარვა. მისი თქმით, მსგავსი შემთხვევა სკოლაში იყო სულ 2 და არ აპირებდნენ, რომ დაერღვიათ კანონმდებლობა და მასწავლებლებს არ ჩარიცხვოდათ კუთვნილი ანაზღაურება.
მასწავლებლის განცხადებით, სკოლამ ნამდვილად მიაწოდა ანაზღაურების ჩარიცხვის გრაფიკი, თუმცა, აღნიშნული მუდმივად ირღვეოდა. სკოლის დირექტორის, აიეტი კუკავას განმარტებით, სკოლას ჰყავდა ახალი ინვესტორი, რომელთან ერთადაც განიხილავდნენ ფინანსურ პრობლემებს და ეტაპობრივად მოხდებოდა დავალიანების დაფარვა.
სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, სკოლას მისცა რჩევა, სასწავლო წლის დაწყებამდე დაეფარათ დავალიანება, რომელიც ჰქონდათ იმ მასწავლებლების მიმართ, რომელთაც შეწყვეტილი ჰქონდათ შრომითი ხელშეკრულება.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რეალურად, როდის დაეწყო დაწესებულებას ფინანსური პრობლემები და სამომავლოდ რა გარანტიები ჰქონდათ, მსგავსი პრობლემების თავიდან არიდების მიზნით. ასევე, დაინტერესდა, რატომ არ იყო განთავსებული ვებ-გვერდზე განახლებული ინფორმაცია.
სკოლის დირექტორის, აიეტი კუკავას განმარტებით, კიბერთავდასხმის შედეგად წაიშალა ყველა ინფორმაცია და დაწესებულებამ გასწია მნიშვნელოვანი შრომა, აღნიშნული ინფორმაციის აღდგენის მიზნით. ასევე, დაწესებულება გეგმავდა ახალი საიტის შექმნას და განახლებულ სერვერზე მუშაობის გაგრძელებას. ხოლო რაც შეეხებოდა დავალიანებებს, მისი თქმით, 1-ელ სექტემბრამდე შეძლებდნენ მასწავლებლებისთვის კუთვნილი ხელფასის ჩარიცხვას.
საბჭოს წევრის, მორის დანდურიშვილის თქმით, პირადი საქმის წარმოების პრობლემასთან დაკავშირებით სკოლას დასახელებული ჰქონდა ფოსმაჟორული სიტუაცია და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რას გულისხმობდა ფორსმაჟორული სიტუაცია ამ შემთხვევაში.
სკოლის იურისტის, სალომე ოსეფაშვილის განმარტებით, პირად საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები ამ შემთხვევაში ეხებოდა ნასამართლეობისა და სქესობრივი ხელშეუხებლობისა და თანასწორუფლებიანობის შესახებ ცნობებს, რომელსაც გასცემდა სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო და ესაჭიროებოდა კონკრეტული ვადები, შესაბამისად, ფორსმაჟორულ სიტუაციას წარმოადგენდა დოკუმენტის გაცემის ვადა და პროცედურა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:48
დასრულების დრო 17:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სს- ფინური საერთაშორისო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-7
წინააღმდეგი - 2

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2024 წლის 25 ივნისი (საბჭოს ჩატარების დღე). საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის მე-11 პუნქტისა და 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სს - ფინური საერთაშორისო სკოლის (სკ: 404557234) მონიტორინგთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 25 ივნისი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2024 წლის სექტემბერში სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოედგინა დასკვნაში ასახული რეკომენდაციებისა და ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა რჩევა, ჩაეტარებინათ ფინანსური აუდიტი და დროულად დაეფარათ ის დავალიანებები, რომელიც ჰქონდათ მასწავლებლებთან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:10 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე/საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა